გორის მუნიციპალიტეტის მერია

ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება

☎ +995 599 30 04 24; 0370 27 00 03
გორი, გრიგოლ ფერაძის 5
✉ info@gori.gov.ge

2020-2021წწ. ანგარიში.

როგორც თქვენთვის ცნობილია 2020 წლს 1 სექტემბერს ძალაში შევიდა „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ სადაც განსაზღვრულია რიგი უწყებების უფლებები და მოვალეობები, მათ შორისაა მუნიციპალიტეტებიც. ამ მიზნით, 2020 წ სექტემბრიდან გორის მუნიციპალიტეტის მერიაში ფუნქციონირება დაიწყო, ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებამ, რომელიც არის მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის მართვის მიზნით შექმნილი სტრუქტურული ერთეული. განყოფილების საქმიანობა ეფუძნება საფრთხის პრევენციასა და ადრეული დახმარების პრინციპს. მისი ეფექტური მუშაობა შეუძლებელია როგორც სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობის გარეშე.

განყოფილების ჩამოყალიბებიდან გავიდა ერთი წელი. ამ ხნის განმავლობაში მომართვის საფუძველზე შევისწავლეთ და ვიმუშავეთ ჯამში 63 შემთხვევაზე (29 ოჯახი). მათი საჭიროებებიდან გამომდინარე, მუშაობა გრძელდება 22 შემთხვევაზე. დანარჩენ შემთხვევაში პრობლემა მოგვარდა და საქმე დაიხურა, გადამისამართდა , ან/და საცხოვრებელი შეიცვალა. მ/შ გამოვლენილია ძალადობის 2 შემთხვევა. ერთ შემთხვევაში იყო იძულება, ფსიქოლოგიური ძალადობა და უგულებელყოფა, 2020წ ოქტომბერში გადამისამართდა სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების ცენტრში. მეორე შემთხვევა, არასრულწლოვანზე სავარაუდოდ განხორციელებული გარყვნილი ქმედება და ადრეული ქორწინების 1 შემთხვევა გადამისამართდა შსს გორის რაიონულ სამმართველოში.

ვანხორციელებთ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სიღარიბეში მყოფი ბავშვიანი ოჯახების შესწავლას. მათი ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენას, არსებული პროგრამების შეთავაზებას, ან/და სამომავლოდ, მათზე მორგებული პროგრამების შემუშავებას. შესწავლილია 134 ოჯახი. შექმნილი კოვიდ რეგულაციებიდან გამომდინარე ამ ეტაპზე საველე ღონისძიებები არ ხორციელდება, შესასწავლია კიდევ 211 ოჯახი.

განათლების უფლების რეალიზაციის მიზნით, განყოფილებამ დაამუშავა, განათლების სამინისტროდან მოწოდებული, სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების შესახებ ინფორმაცია. სულ 92 ბავშვი და მათი ოჯახი. აქედან რამდენიმე შემთხვევაში ბავშვები მშობლებთან ერთად იმყოფებიან საზღვარგარეთ, რამოდენიმე ბავშვის იდენტიფიცირება ვერ მოვახდინეთ. შესრულებული სამუშაოს შედეგი გადაეგზავნა როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე რესურსცენტრს. შედეგად, 2021-2022წ სასწავლო წლის სასწავლო პროცესში ჩართვისთვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისწიპლინური გუნდის მიერ ჯერჯერობით შეფასებულია და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები 13 შშმ ბავშვზე. ამ მიმართულებით გვაქვს ხშირი კომუნიკაცია განათლების სამინისტროსთან. ამჟამად ვახორციელებთ განათლების მიღმა დარჩენილი, დევნილი ბავშვების შესახებ მოწოდებული ინფორმაციის დამუშავებას.

საანგარიშო პერიოდში გვქონდა შეხვედრები სხვადასხვა ორგანიზაციებთან. გავაცანით განყოფილების ფუნქცია მოვალეობა, არსი და მიზანი, მოვისმინეთ მათი შემოთავაზებები.

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების ცენტრთან თანამშრომლობით, გამოვლინდა ძალადობა განცდილ ბავშვებზე ფსიქოთერაპიის საჭიროება, ამ მიზნით შეხვედრები გვქონდა გორის სამედიცინო ცენტრის, ნეიროგანვითარების ცენტრის, სამედიცინო დაწესებულება „იავნანა“-ს, არასამთავრობო ორგანიზაცია GSRT-ის ფსიქოთერაპევტებთან. შემუშავდა ძალადობის შედეგად ფსიქოთერაპიის საჭიროების მქონე ბავშვების ფსიქოთერაპიის კურსის დაფინანსების პროგრამა, რომლითაც ჯერჯერობით სარგებლობს 8 არასრულწლოვანი ოჯახთან ერთად. შემუშავდა კიდევ ერთი პროგრამა: 2021 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფი ზრუნვიდან გასული სრულწლოვანი (არაუმეტეს 21 წლისა) მოქალაქეების დახმარება. პროგრამით ისარგებლა 1 ბენეფიციარმა.

გასულ წელს განყოფილების ინიციატივით გამოაცხადა თემატური ნახატების კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო გორის მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეებმა. გამარჯვებული თემატური ნახატები განთავსდა, განყოფილების მიერ მომზადებულ საინფორმაციო ტრიპლეტზე და კალენდრებზე, რომელიც, ინფორმაციის გავრცელების მიზნით გადაეცა სკოლებს, ბავშვებს, სხვადასხვა ორგანიზაციებს, აგრეთვე განთავსდა მერიის მოქალაქეთა მისაღებ სივრცეში. მ/წ ოქტომბრის თვეში, მსოფლიო ბავშვთა დღესთან დაკავშირებით, გამოცხადდა ესეების კონკურსი გორის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლის საშუალო და საბაზისო საფეხურის მოსწავლეთათვის. გამოვლინდა სამი გამარჯვებული, რომლებსაც გადაეცათ მაღაზიათა ქსელი „ბიბლუსის“ სასაჩუქრე ვაუჩერები, საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული საუკეთესო ესეები გამოიცემა კრებულის სახით.

არასამთავრობო ორგანიზაცია მეგობრობის ხიდი „ქართლოსი“-სთან თანამშრომლობით, მერიის შენობაში განთავსდა სოციალური ყუთი, რომლის მიზანია: სოციალურად შეჭირვებული ოჯახების, მარტოხელა დედების და მათი შვილებისათვის საყოფაცხოვრებო ნივთების, ტანსაცმლის, სათამაშოების შეგროვება და გადაცემა.

ჩვენ მზად ვართ, გავაგრძელოთ აქტიური მუშაობა და თანამშრომლობა ყველა იმ დაწესებულებასა და ორგანიზაციასთან, რომლებიც მზაობას გამოხატავენ, ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის.